ბახვი 2

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საინდენტიფიკაციო კოდი: 405121595
საქართველო, 0177 თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.41
ტელ: (995-32) 2 39-33-96;ფაქსი/ტელ. (995-32) 2 39-33-97
E-mail: geohydropower@gmail.com

www.ghp.ge

BAKHVI 2

Limited Liability Company
ID code: 05121595
41, VazhaPshavela., 0177Tbilisi, Georgia
phone: (995-32) 2 39-33-96; fax/phone: (995-32) 2 39-33-97
E-mail: geohydropower@gmail.com

B-1/6 „24“ სექტემბერი 2018წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

კომპანიამ განიხილა თქვენი მ/წ 3 სექტემბრის № 7660/01 წერილი, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, „მდ. ბახვისწყალზე „ბახვი 2“ ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის სკოპინგის ანგარიშის ხარვეზის გამოსწორების მიზნით დოკუმენტაციის დაბრუნებას.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული სკოპინგის ანგარიში და თანდართული GIS shape ფაილები, თქვენი ზემოაღნიშნული წერილისა და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დაკორექტირდა და განახლდა.

სკოპინგის ანგარიშში შევიდა შემდეგი სახის ცვლილება:

- წარმოდგენილია საპროექტო ჰესის სათავე ნაგებობის მიერ შეტბორვის არეალის, მისი მოცულობის, ფართობის და სიმაღლის შესახებ ინფორმაცია;
- მოცემულია მაღალი გარჩევადობის სიტუაციური სქემები;
- სამშენებლო ბანაკის სავარაუდო განთავსების განთავსების ადგილი (როგორც ანგარიშშია მითითებული, აღნიშნული ტერიტორია შერჩეულია კომპანიის მიერ ჩატარებული ვიზუალური კვლევის შედეგად. ჰესის მშენებელი კონტრაქტორის შერჩევის შემდგომ მოხდება მათ მიერ უკვე დაზუსტებული ტერიტორიების შერჩევა და ჰესის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო ბანაკისა და მოედნების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება სამინისტროში განსახილველად);
- ფუჭი ქანების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია (აღნიშნული ინფორმაცია ასახულია ამ მომენტისთვის პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების გათვალისწინებით. შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით გზშ-ს ანგარიშის სამინისტროში წარმოდგენამდე დაზუსტდება კონკრეტული რაოდენობები და აისახება გზშ-ს ანგარიშში).
- შესწორდა საპროექტო ჰესის გენ-გეგმა;

№ 12338
24 09 2018
2 ფ.

- ქვესადგურის და გადამცემი ხაზების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ქვესადგური ანუ ჰესის ღია გამანაწილებელი მოწყობილობა განთავსდება ჰესის შენობის მიმდებარედ, რასთან დაკავშირებითაც, დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება გზშ-ს ანგარიშში. რაც შეეხება shape ფაილებს - ჰესის შენობის shape ფაილში შემოსაზღვრული ტერიტორია ასევე მოიცავს ქვესადგურსაც (ღია გამანაწილებელ მოწყობილობას). რაც შეეხება ელექტროგადამცემ ხაზს, აღნიშნული პროექტი დასრულებული არ არის. შესაბამისად, პროექტის დასრულების შემდგომ დაგეგმილი ეგხ ცალკე პროექტად გაივლის გზშ-ს პროცედურებს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- გეოინფორმაციული სისტემების shape ფაილები შესწორდა და მასში ცალ-ცალკე ასახულია საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის, სადერივაციო მილსადენის/გვირაბის, სამშენებლო ბანაკის, სანაყაროების, საპროექტო და არსებული მისასვლელი გზების ტერიტორიები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ კორექტირებულ სკოპინგის ანგარიშსა და GIS shape ფაილებს. გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე განაახლოთ სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით მ/წ 24 აგვისტოს დაწყებული ადმინისტრაციულ წარმოება.

დანართი:

- 1 ერთეული სკოპინგის ანგარიში (ნაბეჭდი ვერსია);
- 1 ერთეული CD (სკოპინგის ანგარიშისა და GIS shape ფაილების ელექტრონული ვერსია).

პატივისცემით,

დირექტორი

შამილ ბირკაძე